



ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომის

ოქმი N 07

2020 წელი 29 მაისი

ქ. ბაღდათი

10.00 საათი

2020 წლის 29 მაისი გაიმართა ბაღდათის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომა.

სხდომას ესწრებოდა: შალვა მშვილდაძე, ნოდარ გიორგიძე, ირინა ტყეშელაშვილი, მამუკა გორგოძე, ფრიდონ მაჩიტაძე, გია სახამბერიძე, სიმონ ჭოლოკავა, კობა მშვილდაძე, მაკა მესხი, დიომიდე კიკნაველიძე, ტარიელ ჩაკვეტაძე, გურამი ჩხეიძე, შადიმან გორგოძე, გურამი კიკნაველიძე, გვანცა გრძელიძე, მაია კბილაშვილი, თემურ მინაძე, რუსუდან გეწაძე, ზაზა ზივზივაძე, გრიგოლ ტაბეშაძე, ალექსი ლომინაშვილი, გიორგი რობაქიძე, ირაკლი გოგსაძე, თეონა ფახურიძე.

საკრებულოს წევრები: სულ 24 წევრი.

არ ესწრებოდა საკრებულოს წევრები: მურადი ბურჯანაძე, ვლადიმერ წიქორიძე, გაბრიელ ლიბრაძე, თორნიკე გაჩეჩილაძე, შალვა დათუაძე.

ასევე სხდომას ესწრებოდნენ:

მუნიციპალიტეტის მერიიდან:

ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.
დავით მშვილდაძე - მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსი;

კოტე ჯავახია - სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

ამირან შოთაძე - შპს „მექანიზატორის“ მენეჯერი

საკრებულოს აპარატის უფროსი ნოდარ ებანოიძე

სხდომა გახსნა და თავმჯდომარეობდა შალვა მშვილდაძე - საკრებულოს თავმჯდომარე.

რეგისტრაცია გაიარა საკრებულოს 24 წევრმა, დაესწრო 23 საკრებულოს წევრი. შ. მშვილდაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგი:

დღის წესრიგი

1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;

მომხს. ლერი გუმბერიძე - მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსი.

თანამომხსენებლები: უჩა გელხვიძე - მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა სპეციალისტი

გურამი კიკნაველიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო
სამსახურის უფროსი;

2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ;

მომხს. დავით მშვილდაძე-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსი.

კენჭი უყარეს დღის წესრიგს:

დღის წესრიგი მიღებული იქნა ერთხმად.

მომხრე - 23 წინააღმდეგი - 0
კენჭისყრაში მონაწილეობა მიიღო 23 საკრებულოს წევრმა

მ ო ი ს მ ი ნ ე ს 1. ბაღდათის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების მიმოხილვის შესახებ;

მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პირველი კვარტლის შესრულების თაობაზე ინფორმაცია სხდომაზე წარმოადგინა მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის უფროსმა-ლერი გუმბერიძემ.

თანამოხსენება პირველი კვარტლის შედეგებთან დაკავშირებით წარმოადგინა, მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტისა და ინსპექტირების სამსახურის უფროსმა სპეციალისტმა უჩა გელხვიძემ

საკრებულოს კომისიის დასკვნა, სხდომას გააცნო გურამ კიკნაველიძე-საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ

საკრებულოს სხდომამ გადაწყვიტა:

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42/18 29.05. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

მ ო ი ს მ ი ნ ე ს : 2. ბაღდათის მუნიციპალიტეტის მერიის სოფლის მეურნეობის, ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისა და გარემოს დაცვის განყოფილების ინფორმაცია მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოების შესახებ;

მუნიციპალიტეტში მიმდინარე საგაზაფხულო სამუშაოებზე ინფორმაცია სხდომაზე წარმოადგინა : დავით მშვილდაძემ-მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური სამსახურის სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსებით სარგებლობის განყოფილების უფროსი;

საკითხთან დაკავშირებით ასევე ინფორმაცია გააკეთეს და საკრებულოს წევრების შეკითხვებს უპასუხეს:

კოტე ჯავახიამ -სოფლის მეურნეობის სამინისტროს საინფორმაციო სამსახურის უფროსი

ბაღდათის მუნიციპალიტეტში.

ამირან შოთაძემ - შპს „მექანიზატორის“ მენეჯერი

საკრებულო კომისიის დასკვნა ბიუროს წევრებს გააცნო: გია სახამბერიძემ-საკრებულოს გარემოს დაცვის, ბუნებრივი რესურსების მართვისა და აგრარულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ

მიღებული იქნეს საკრებულოს განკარგულება N 42/19 29.05. 2020 წ. (განკარგულება თან ერთვის)

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხები ამოიწურა და სხდომა გამოცხადდა დახურულად.

სხდომის თავმჯდომარე:

შალვა მშვილდაძე